ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი: კანონპროექტის მიღების მიზეზია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურიდან შემოსული სამართლებრივი დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N21 დადგენილებაზე, რომლის თანახმადაც დადგენილების ერთ-ერთი პუნქტი, კერძოდ რომელიც ეხება აზარტულ და მომგებიანი თამაშებისათვის განკუთვნილ სათამაშო ინვენტარის, ასევე სხვა სათამაშო და გასართობი აპარატის ან ნივთის საზოგადოებრივ სივრცეში განთავსების საკითხს, არ შეესაბამება „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“, „გ“, „ვ“ და „ზ[1]“ ქვეპუნქტებს.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი: კანონპროექტის მიღების მიზანია აღნიშნული დადგენილების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან,არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

დ) დადგენილების პროექტის ავტორები:

პროექტის ავტორია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

ე) სხდომაზე მომხსენებელი:

სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა

და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე

პროექტი

დადგენილება

„დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის N49119 სამართლებრივი დასკვნის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 29 მაისის N21 დადგენილებაზე) საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ცვლილება შევიდეს „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N21 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი:03/06/2015, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.114.016263) და ამოღებულ იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 29 მაისის N21 დადგენილებით დამტკიცებული „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

მუხლი 2 დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზაალ მამამლაძე**

დასკვნა

„დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2015 წლის 25 ივნისს შემოვიდა წერილი N61 საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურიდან, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივ შენიშვნებს, კერძოდ მითითებაა, რომ დადგენილების ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც ეხება აზარტულ და მომგებიანი თამაშებისათვის განკუთვნილ სათამაშო ინვენტარის, ასევე სხვა სათამაშო და გასართობი აპარატის ან ნივთის საზოგადოებრივ სივრცეში განთავსების საკითხს, არ შეესაბამება „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“, „გ“, „ვ“ და „ზ[1]“ ქვეპუნქტებს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნული დადგენილება ექვემდებარება კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

საკრებულოს აღნიშნული პროექტი მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით.

„სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე: მარინე ბერაძე